თბილისის „დინამო“ – სრული შემადგენლობით

თბილისი „დინამოს“ სტადიონი. 26 მარტი

„დინამო“ (თბილისი) – „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 4:0 (2:0).

„დინამო“: ურუშაძე (კოტრიკაძე), რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა (პეტრიაშვილი), შერგელაშვილი, კუტივაძე, ილიადი, მეტრეველი, ნოდია, ასათიანი (ხუციშვილი), მესხი.

„ჩერნომორეცი“: იარჩუკი, ცუნინი, სირომიატნიკოვი, ზაბოლოტინი, არხიპენკო, ზუბკოვი (ჰოპინკო), ბოსი (ლისენკო), მიროშინი, საკი, ზვენიგოროდსკი, სეკეჩი.

მსაჯი გ. ბაქანიძე (თბილისი).

თბილისელ მაყურებელთა წინაშე „დინამო“ წლეულს პირველად წარსდგა თავისი სრული შემადგენლობით, პირველი და ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრებით და ეს მაშინვე დაეტყო მისი თამაშის ხარისხს. ოთხ თავდამსხმელს თითქმის არ დასჭირვებია უკან დახევა დაცვის მოსახმარებლად. ისინი თამაშობდნენ გაშლილად, მსუბუქად, სწრაფი კომბინაციებით, ნახევარმცველთა აქტიური მხარდაჭერით ყოველ სიტუაციაში, ყოველი პირისპირი შეტაკებისას იგრძნობოდა თბილისელთა დიდი უპირატესობა ტექნიკაში, ბურთის ფლობის ოსტატობაში მესხისა და მეტრეველისათვის თითქმის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ბრძოლა მცველებთან. ცენტრში ნაყოფიერად თამაშობდა ენერგიული ნოდია.

ოდესელთა კონტრიერიშებს არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი, ამიტომ შემთხვევიდან შემთხვევამდე წართმეულ გარღვევებს „დინამოს“ დაცვა ადვილად უვნებელყოფდა.

შესანიშნავი იყო პირველი გოლი, რომელიც დინამოელებმა გაიტანეს მე–15 წამზე. მეტრეველი დრიბლინგით გავიდა მარჯვენა ფრთაზე და მოპირისპირე მხარეს გადააწოდა ბურთი. მესხმა იგი ძირდაუშვებლად გაგზავნა კარში – 1:0. მცირე ხნის შემდეგ იმავე ფლანგიდან ცენტრში მიაწოდა კუტივაძემ და ნოდიამ ზუსტად ითამაშა თავით – 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა შედარებით გამოასწორეს თამაში. მართალია, რეალური საშიშროებანი მეტოქის კართან მათ არ შეუქმნიათ, მაგრამ ბრძოლას უფრო თანაბარი ხასიათი მიეცა. მაინც, თბილისელთა დიდ ტექნიკურ უპირატესობას „ჩერნომორეცის“ დაცვამ ვერ გაუძლო და ბრძოლის სიმძიმემ ისევ ოდესელთა მხარეს გადაინაცვლა.

75–ე წუთზე კუტივაძის მიერ დარტყმული ძლიერი საჯარიმო იარჩუკმა ნახტომში მოიგერია, მაგრამ ბურთს ყველაზე ადრე ნოდიამ მიუსწრო – 3:0. მატჩის დასასრულს გარღვევაზე თითქმის კარის ხაზამდე გავიდა რეხვიაშვილი, გადასცა ბურთი კარის წინ და ხუციშვილმა მეოთხე გოლი გაიტანა.

რ. ქორიძე
“ლელო” 18.III.1967 წ.